06/12/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვა ბ-ნ როინ მეტრეველს

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი 1
ტელ: (995 32)2990378, 2989540, ფაქსი:(995 32)2987114

CHATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1 King Erekle II sq., Tbilisi, 0114
Tel.: (995 32)29980378, 2989540; Fax:(995 32) 2987114

ბატონ როინ მეტრეველს გულითადად ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. მან დღემდე წარმატებულად განვლო თავისი ასპარეზი და ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა ქვეყნის ცხოვრებაში. მისი სიტყვა იყო და არის მეტად მნიშვნელოვანი ჩვენი საზოგადოებისათვის.

ბატონი როინი არაერთი აკადემიის საპატიო წევრია და საქართველოს შუასაუკუნეების ისტორიის შესახებ მრავალი აღიარებული წიგნი აქვს გამოცემული, მათ შორის უცხო ენებზეც.

აღსანიშნავია, რომ თავისი გამოკვლევებით მან ნათლად წარმოაჩინა მართლმადიდებელი ეკლესიის მისია ქართველი ერის სულიერი განმტკიცებისა და განვითარების საქმეში. მისი ხელშეწყობით მოხდა ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში აიგო წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი, როგორც დადასტურება მეცნიერებისა და სულიერების კავშირისა და თავისი ცხოვრებითაც იგი ამ იდეის განხორციელებას უწყობდა ყოველთვის ხელს.

ღმერთმა დალოცოს ბატონი როინი, მრავალჟამიერი სიცოცხლე მიჰმადლოს და კვლავაც ერთგულად ამსახუროს ეკლესიისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

5.12.2019.

— patriarchate.ge